

## ანანო გუნია

### კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

#### Fairleigh Dickinson University, USA

გაცვლითი პროგრამით ამერიკაში ჩემი წასვლა სრულიად დაუგეგმავი და მოულოდნელი იყო. ერთ დღესაც, გამოცდების პერიოდში, უეცრად მომივიდა იდეა რომ მაგისტრატურის ბოლო კურსზე მყოფს, რაღაც ახალი უნდა გამეკეთებინა, ეს კი ზუსტად ამერიკაში ჩემი ბოლო სემესტრის გატარებას ნიშნავდა. სწორედ იმ დროს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შანსს უნივერსიტეტი მთავაზობდა, იმავე დღეს დავიწყე საბუთების შეგროვება, თუმცა ნამდვილად არ მეგონა, რომ ერთ დღეს თავში გაელვებულნი ეს აზრი „მოდი ამერიკაში წავალ“ თუ რამდენიმე თვეში რეალობად იქცეოდა.

გაცვლითი პროგრამით სასწავლებლად წასვლა სრულიად ახალი გამოცდილებაა, მითუმეტეს ამერიკაში. ამ ყველაფერს პანდემიაც დაემთხვა, კარანტინი, საზღვრების ჩაკეტვა... წინასწარ რომ მცოდნოდა ამ ყველაფრის შესახებ, მაინც წავიდოდი, იმდენად დიდი და საინტერესო გამოცდილება მივიღე. საკუთარ თავში ახალი უნარები და ახალი რესურსები აღმოვაჩინე, ყოველდღიურად გრძნობ, რომ არამარტო პროფესიულად, არამედ პიროვნულადაც იზრდები და შემდეგ ეს ყველაფერი სასიამოვნო თავდაჯერებულობისა და დამოუკიდებლობის განცდას გაძლევს.

ვფიქრობ, ყველა სტუდენტისათვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო გამოცდილებაა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება.